

პოლიტიკური ინტერვიუ, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ჟანრი
(ქართულ, რუსულ და ამერიკულ მასალაზე დაყრდნობით)

ნანა ტაბატაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

(ევროპული-რუსული-აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ტაბატაძე

2019 წლის 25 ივნისი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებაში პოლიტიკური და მასობრივი კომუნიკაციების ურთიერთობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მედიასაშუალებების განვითარებასთან ერთად საზოგადოების ჩართულობა და ინტერესი პოლიტიკურ ცხოვრებაში დღითიდღე იზრდება. ჟურნალისტიკაში, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის მრავალი საშუალებაა, თუმცა დიდი პოპულარობით სარგებლობს საინფორმაციო, სამეტყველო ჟანრი - ინტერვიუ, რაც გულისხმობს ინფორმაციის პირდაპირ და ღიად მიწოდებას მკითხველზე, მსმენელსა და მაყურებელზე. რადგანაც ენა მთავარ როლს თამაშობს პოლიტიკური აზრების გამოხატულებასა და გადაცემაში, პოლიტიკური მედიადისკურსით დაინტერესდნენ ლინგვისტებიც. ინტერვიუს ლინგვისტები განიხილავენ სემანტიკურად, პრაგმატიკულად, მორფოლოგიურად, სინტაქსურად, ფონოლოგიურად, გამოყოფენ მრავალ მხატვრულ და მანიპულაციურ ხერხებს, რათა დადგინდეს რა საშუალებებით და მეთოდებით იგება და მიმდინარეობს ინტერვიუ კონკრეტული ენების პოლიტიკურ დისკურსში. ქართულ ლინგვისტურ კვლევებში ინტერვიუების განხილვის პრაქტიკა ძალზე მწირია, ამდენად ვფიქრობ, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა დაეხმარება პოლიტიკური და მასობრივი კომუნიკაციების სწავლების სფეროებში მოღვაწე ადამიანებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლიტიკური ინტერვიუ, ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურსის ანალიზი, მანიპულაცია, პრაგმატიკული მარკერები, სტილისტიკური ხერხები

Abstract

The relationship between political and mass communication in the modern world society is closely related. With the development of media communication, public participation and interest in political life are increasing day by day. In journalism, there are many ways to efficiently streamline the information, but one of the most popular is speech genre – interview, which means to transmit the information to the reader, listener and audience directly and openly. Language plays an important role in the expression and transmission of political ideas, that is why linguists also became interested in political rhetoric. Linguists study and analyse an interview semantically, pragmatically, morphologically, syntactically, phonologically, they identify stylistic and manipulative techniques to determine what methods and possibilities are used in a particular language of political discourse. The practice of researching interviews in Georgian linguistics is very scarce, so I hope that my work about this theme, will be helpful for the people in the field of mass communication and politics.

Key words : Political interview, Text linguistics ,Discourse analysis, Manipulative markers,stylistic devices